

შპს კოლექტი ცხუმ-ვერისი

ინფორმაცია

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სწავლის მსურველთათვის


სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა.

მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა სამუშაოს მაძიებლებსა და ახალი პროფესიის შესწავლის მსურველებს შესაძლებლობას აძლევს გადამზადდნენ მათთვის სასურველ პროფესიაში, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტო მათ აწვდის ინფორმაციას შრომით ბაზარზე ყველაზე მეტად მოთხოვნილი პროფესიების შესახებ, რაც ზრდის მათი სწორად გადამზადებისა და სამუშაოს მოძიების შესაძლებლობას.

სახელმწიფო აფინანსებს მომზადება-გადამზადების მსურველებს სასურველ პროფესიულ კოლექტებში განათლების მისაღებად, აგრეთვე ეხმარება მათ სტაჟირებაში. პროგრამაზე რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში Worknet.gov.ge-ზე. დარეგისტრირება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, რომელსაც აქვს 11-ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი და მიღწეულია შრომითი ქმედუნარიანობის ასაკს. შრომითი ქმედუნარიანობის ასაკის არმქონე პირს მომსახურებით სარგებლობა შეეძლება მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობის წარდგენის შემდეგ.

Worknet.gov.ge-ზე რეგისტრაციისას, პირი თავად ირჩევს და ნებისმიერ დროს ცვლის სისტემით სარგებლობის უსაფრთხოების პარამეტრებს. ერთხელ რეგისტრირებული მომხმარებელი ვეაღარ შეძლებს განმეორებით რეგისტრაციას წინა რეგისტრაციის გაუქმების გარეშე.

მათ, ვისაც გაქვთ ონლაინ პროდუქტთან მუშაობის პრობლემები, ვერ გეხმარებათ ახლობელი და /ან არ გაქვთ ინტერნეტთან წვდომა, შპს კოლეჯი ცხუმ-ვერისი სრულიად უსასყიდლოდ დაგეხმარებათ აპლიკაციის შევსებაში.



შპს კოლექტი ცხუმ ეგრისი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიული მომზადება/გადამზადების შემდეგ პირობებს

N	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ჩარიცხვის წინაპირობები	სწავლის ხანგრძლივობა		ჯგუფების რაოდენობა	მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში	
				სულ	დატვირთვა კვირაში		მინიმალური	მაქსიმალური
1	ელექტრონული ბუღალტერია	პროფესიული მომზადება	სრული ზოგადი განათლება	9 კვირა 144 სთ	16 სთ	1	10	15
2	სალაროს ოპერაციების განხორციელება	პროფესიული მომზადება	საბაზო განათლება ასაკი-17 წელი	12 კვირა 180 სთ	15 სთ	1	10	15
3	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	პროფესიული მომზადება	საბაზო განათლება	9 კვირა 144 სთ	16 სთ	1	10	15
4	შიდა ელექტროგაყვანილობის მონტაჟი	პროფესიული მომზადება	საბაზო განათლება	10 კვირა 180 სთ	18 სთ	1	10	15
5	მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმენტების მომზადება	პროფესიული მომზადება	სრული ზოგადი განათლება	10 კვირა 160 სთ	16 სთ	1	10	15